ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის თებერვლის 1	№ 3 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

მუხ. 22. 1932 წელს ა/კსფსრ-ში მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმის შესახებ.
23. მებამბეობის 1932 წლის გეგმის აღსრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

24. ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის მთლიანი აღნუსხვისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამიერკავკასიის საალნუსხვო კომისიის მოწყობის შესახებ.
25. საბინაო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
26. „1931 წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვებისათვის სარკინისგზო და ავტოჭაპანზიდვის ტრანსპორტის განმზადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის გაუქმების შესახებ.
27. მუნიციპალური საცხოვრებელი ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადატანისა და სახლის ტრესტების და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების დაწვრილების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

22. 1932 წელს ა/კსფსრ-ში მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა აბსოლუტურად არასაკმარისი ყურადღება მიაქციეს მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხებს, რის გამოც მეაბრეშუმეობა ა/კსფსრ-ში ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ ჩამორჩება ომის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადროის დონეს და ერთი უაღრესად ჩამორჩენილი დარგთაგანია ა/კსფსრ სახალხო მეურნეობისა.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობას ა/კსფსრ-ში ახასიათებს ის, რომ ხელთქონებული საკვები ფონდი სავსებით გამოყენებული და საკმარისად გაფართოებული არ არის, აგრეთვე ის, რომ მეაბრეშუმეობის განსაზოგადოებისა და სააბრეშუმო მეურნეობის წარმოებაში ახალი მეთოდების შთანერგვის ტემპები საკმარისი არ არის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავენ, კერძოდ, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები შეუწყნარებლად მოეკიდნენ აბრეშუმიის ჭიის თესლისა და პარკის კამპანიის საგაზაფხულო გეგმის შესრულების საქმეს, განსაკუთრებით ოპორტუნისტულად მოეპყრნენ კულაკურშეძლებულ მეურნეობათათვის მტკიცე დავალებათა მიცემის საკითხს, რის გამოც 1931 წლის გაზაფხულის გეგმა შესრულებული არ არის ყველა მაჩვენებლების ხაზით (აბრეშუმის ჭიის თესლის გაცოცხლების ოდენობა, პარკისა და ხრალის დამზადება, თუთის ნარგავთა ჩაყრა), ხოლო პარკის დამზადების გეგმა ა/კსფსრ-ში შესრულებულია 44,5%-ით; ამასთანავე, აზერბაიჯანის სსრ-ში 40,8%-ით, საქართველოს სსრ-ში 46,1%-ით და სომხეთის სსრ-ში—69,2%-ით.

გასული წლის მეორე ნახევარწელიწადში არამც თუ არ მოხდა გარდატეხა თუთის გაშენებისა და მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმების შესრულების ტემპებში, არამედ, პირიქით, გარღვეულობა უფრო გაღრმავდა: საშემოდგომო გამოკვების გეგმები აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში მთლად ჩაიშალა, ხოლო საქართველოს სსრ-ში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 14%-ით.

აგრეთვე აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებლად ჩატარებულია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში თუთის ნარგავთა ჩაყრის საშემოდგომო კამპანია. დეკემბრის 1-თვის მოხნულია საბუჩქე პლანტაციებისათვის გეგმით გათვალისწინებული მიწების: აზერბაიჯანის სსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში—19,44%-ით და საბჭოთა მეურნეობებში—51%-ი; საქართველოს სსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში—12%-ი და საბჭოთა მეურნეობებში—39%-ი; სომხეთის სსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებში—52%-ი; თანაც პლანტაციების ჩაყრის გეგმა შესრულებულია სრულიად უმნიშვნელო პროცენტით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უუნარობას—სათავეში ჩასდგომოდნენ კოლმეურნეთა მასსებს პარკის კონტრაქტაციის და დამზადების ორგანიზაციისა და პლანტაციების ჩაყრის გეგმის შესრულების საქმეში, რამაც გამოიწვია გეგმის თვალსაჩინო შეუსრულებლობა.

1932 წელს ა/კსფსრ-ში მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. 1932 წლისთვის საგაზაფხულო გამოკვების გეგმა განისაზღვროს 203.000 კოლოფის რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—100.000 კოლოფი, სომხეთის სსრ-ში -3.000 კოლოფი და საქართველოს სსრ-ში—100.000 კოლოფი. ერთი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლის გამოსავალი განისაზღვროს: საქართველოში—34 კილოგრამის რაოდენობით, სომხეთში—50 კილოგრამის რაოდენობით და აზერბაიჯანში—25 კილოგრამის რაოდენობით.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ არსებული საკვები ფონდის სრული გამოყენება და გაფართოება ძველ ნარგავთა ფოთლოვნობის გადიდებით და აგრეთვე 1932 წელს 10.100 ჰექტარი საბუჩქე პლანტაციების ჩაყრით (აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—4.500 ჰექტარისა, სომხეთის სსრ-ში—600 ჰექტარისა და საქართველოს სსრ-ში 5.000 ჰექტარისა); ამ რაოდენობიდან—1.600 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობებში (აზერბაიჯანის სსრ-ში—700 ჰექტ., სომხეთის სსრ-ში—200 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—700 ჰექტ.)

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, „სოიუზშოლკ"-ის ამიერკავკასიის განყოფილებასთან ერთად, უნდა ჩაატარონ 1932 წელს თუთის ნარგავთა აღნუსხვა.

3. წყალთა მეურნეობის ორგანოებმა უნდა უზრუნველჰყონ თუთის ნარგავები სარწყავი წყლით; ამასთანავე, საბამბე რაიონებში თუთის ნარგავები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყლით ბამბის თანაბრად.

4. დაევალოს ა/კ.-სა და რესპუბლიკანურ ტრაქტორცენტრებს—უზრუნველჰყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონებში მდებარე კოლექტიურ მეურნეობებში თუთის ნარგავთა ჩაყრის საქმისათვის მომსახურეობის გაწევა. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „სოიუზშოლკ"-მა უნდა უზრუნველჰყონ ტრაქტორებით საბჭოთა მეურნეობებში თუთის ნარგავთა ჩაყრის სამუშაოები.

5. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ 1932 წელს თუთის ნარგავთა ჩაყრა საჭირო მიწის ფონდებით.

6. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა აბრეშუმის მოპოების მთელ მუშაობას თავი მოეყაროს რესპუბლიკანურ სააბრეშუმო ტრესტებში; აქედან—აგრეთვე აგრო წარმოებითს მომსახურეობას, პარკისა და თუთის ხრალის კონტრაქტაციას და დამზადებას, პარკის გახმობას და ჩახშობას.

7. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა—ორი დეკადის ვადაზე, ხოლო რესპუბლიკანურმა საკოლმეურნეო ცენტრებმა—15 დღის ვადაზე—უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საკოლმეურნეო მეაბრეშუმეობის ვანვითარებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს 1932 წლის გეგმის შესრულებას.

8. თუთის ხრალის პირველადი გადამუშავება თავმოყრილ იქნეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის სისტემაში. ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ა/კ. განყოფილებამ უნდა უზრუნველჰყოს 1932 წ. სეზონისათვის მექანიკური დეკორტიკაციის შესაფერი გაწყობილობის თავის დროზე შემოზიდვა.

9. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დააჩქაროს მაქსიმალურად სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა სააბრეშუმე მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სფეროში, ისეთი ვარაუდით, რომ არა უგვიანეს თებერვლის 1-სა საბოლოოდ დამუშავებულ იქნეს შემდეგი საკითხები: ა) საჭიე შენობების ტიპი საბჭოთა მეურნეობისა და კოლექტიური მეურნეობისათვის; ბ) სააბრეშუმე საბჭოთა მეურნეობისა და სააბრეშუმე კოლექტიური მეურნეობის საორგანიზაციო გეგმა; გ) ერთ ჰექტარზე თუთის ნარგავთა გაშენების ნორმა; დ) ფოთლის პროდუქციის გამოსავალის ნორმა ერთ ჰექტარზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიამ უნდა მოისმინოს არა უგვიანეს თებერვლის 10-სა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტისა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება ამ სამუშაოთა აღსრულების შესახებ.

10. პარკის მოსავლიანობის გადიდებისა და თვისების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტებმა აბრეშუმის ჭიის თესლი უნდა დაარიგონ მხოლოდ ინკუბირული სახით (საქართველოსა და სომხეთში—100%-ით, ხოლო აზერბაიჯანში—არა ნაკლებ 75%-ისა).

11. საჯიშე მასალის ღირსების დაცვისა და პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკანურ მომომარაგების სახალხო კომისარიატებს—მოახდინონ საჯიშე ჭიის თესლის რეალიზაციის მტკიცე დარაიონება, რისთვისაც გამოჰყონ რესპუბლიკებში საჯიშე სარაიონო კოლექტიური მეურნეობანი.

12. დაევალოს რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტებს—მოწესრიგონ სახმობები და სახშობები პარკის მოგროვების დაწყებისათვის (მაისის დამდეგი).

13. დაევალოს რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტებს—დასდგან 1932 წლისთვის ხუთი მექანიზირებული საჭიე შენობები (საქართველოში—3, აზერბაიჯანში—2) მეაბრეშუმეობის ტრესტების დიდრონ საბჭოთა მეურნეობებში.

14. პარკისა და თუთის ხრალის კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნეს რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტების მეშვეობით და დამთავრდეს 1932 წ. მარტის 1-თვის.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ ხუთი დღის ვადაზე სათანადო დადგენილება კონტრაქტაციის წესის შესახებ.

15. სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილების შესაბამისად—დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს სამრეწველო და სასურსათო საქონლის თავის დროზე შეზიდვა ადგილებში.

რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებმა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა გაანაწილონ ერთი დეკადის განმავლობაში საქონელი რაიონებზე დამზადების გეგმის შესაბამისად.

რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ სამრეწველო და სასურსათო საქონლის თავის დროზე შემოზიდვას და ამ სა-

ქონლით მეაბრეშუმეთა მომარაგებას. რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის ტრესტებმა თავის დროზე უნდა აწარმოონ სიგნალიზაცია მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის თაობაზე მეაბრეშუმეთა მომარაგების სფეროში.

16. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება სათანადო რაოდენობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით 1932 წლის კონტრაქტაციის უზრუნველყოფის შესახებ.

17. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა წარუდგინონ ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/კსფსრ-ში მეაბრეშუმეობის განვითარების საპერსპექტივო გეგმა.

18. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის კადრების განყოფილებამ უნდა დააკომპლექტოს ერთი დეკადის ვადაზე „სოიუზშოლკ"-ის ა/კ. განყოფილება სათანადო მომუშავეებით.

19. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ რესპუბლიკანური მეაბრეშუმეობის ტრესტები და საკოლმეურნეო ცენტრები კვალიფიციური მომუშავეებით მეაბრეშუმეობის ხაზით და აგრეთვე უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი მეაბრეშუმეობისათვის ახალი კადრების მოსამზადებლად.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა იხმარონ ორი დეკადის ვადაზე ღონისძიება აზერბაიჯანის უზრუნველსაყოფად მეაბრეშუმეობის სფეროში მომუშავე სპეციალისტების მინიმალური რიცხვით—სხვა რესპუბლიკებიდან მათი წარგზავნით.

20. მიენდოს რესპუბლიკების კომუნისტური პარტის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ მეაბრეშუმეობის საკითხების შესახებ სათანადო მასსური ლიტერატურის გამოცემა.

21. „ზარია ვოსტოკა"-მ და ყველა რესპუბლიკანურმა და რაიონულმა გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მეაბრეშუმეობისა და 1932 წლის გეგმის შესრულების საკითხებს.

22. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხრეო კომიტეტი წინადადებას აძლევენ ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციას მეაბრეშუმეობის განვითარების რაიონებში—გაშალოს მასსური პოლიტიკური მუშაობა მეაბრეშუმეობის 1932 წლის გეგმის აღსრულების უზრუნველყოფისათვის და ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უაღრესი მნიშვნელობის დარგისა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი **მ. ორახელაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-8 №-ში 1932 წ. იანვრის 9-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

23. მებამბეობის 1932 წლის გეგმის აღსრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის, 1931 წ. ოქტომბრის 31-ის, დადგენილებაში დააყენა ამოცანა:

„ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით აზერბაიჯანისამ, მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრან ბამბის შემდგომ შთანერგვას, რისთვისაც არა მარტო უნდა გაადიდონ ბამბის ნათესის ფართობი, არამედ აგრეთვე აუცილებლად უნდა გააუმჯობესონ დამუშავების თვისება, შთანერგონ გაუმჯობესებული თესლი, თავის დროზე აიღონ მოსავალი, თავის დროზე სთესონ და დაამუშაონ, გაადიდონ მოსავლიანობა და ბამბის განვითარებისათვის ყველა სამუშაოს წარმოების დროს მათ მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ ამიერკავკასია მეორე ხუთწლედში უნდა გადაიქცეს სსრკ ის მეორე ძალოვან საბამბე ბაზისად“.

ამ ამოცანის განხორციელება, მას შემდეგ, რაც 1931 წელს ამიერკავკასიაში ბამბის განვითარების საქმეს დაეტყო უწყებული გარდატეხა, მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ორგანიზაციებისაგან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მომუშავეებისაგან, პროფესიონალურ კავშირთა და კომკავშირის ორგანიზაციებისაგან ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას, რათა უცილობლად განხორციელებულ იქნეს მებამბეობის 1932 წლის შემდეგი საწარმოო გეგმა.

1) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების შეცვლის მიზნით—1932 წლისთვის ამიერკავკასიაში მთლად სარწყავი ბამბის ნათესის ფართობი განისაზღვროს 291.000 ჰექტარის რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—233.000, სომხეთის სსრ-ში—30.000 და საქართველოს სსრ-ში—28.000 ჰექტარი. ამის გარდა, ბოგარული ბამბის ნათესის ფართობი აზერბაიჯანის სსრ-ში მიღწევინებულ იქნეს 4.000 ჰექტარამდე.

2) მთლად საბამბე ფართობი 1932 წლისა რესპუბლიკებზე დანაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

	საბჭოთა მეურნეობები	საგლეხო მეურნეობები	
	სარწყავი ფართობი	სარწყავი	ბოგარული
აზერბაიჯანის სსრ	16.000	217.000	4.000
სომხეთის სსრ	1.000	29.000	—
საქართველოს სსრ	5.500	22.500	—
სულ . .	22.500	268.600	4.000

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს—გაანაწილონ ორი დღის ვადაზე მიღებული ფართობები სექტორებზე.

საბჭოთა მეურნეობების ფართობი განაწილდეს შემდეგნაირად: ყარა-ჭალა—5.500 ჰექტ., სტალინის სახელობისა (მილლის)—9.000 ჰექტ., აზიზბეკოვისა—1.500 ჰექტ., ალაზანი—4.000 ჰექტ., ყარაია—1.500 ჰექტ. და სარდარაბადი—1.000 ჰექტ.

3) განსახორციელებელ აგრო-ღონისძიებათა მიხედვით—სარწყავი ბამბის საშუალო მოსავლიანობა მიღებულ იქნეს 8 ცენტნერის რაოდენობით 1 ჰექტარზე და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის და სოციალური სექტორებისათვის დაწესდეს მოსავლიანობის შემდეგი ნორმები:

	საბჭ. მეურნ.	კოლ. მეურნ.	ინდივ. მეურ.	ჯამი
აზერბაიჯანის სსრ . .	9,67	7,8	7,2	7,82
სომხეთის სსრ . .	7,0	9,5	9,0	9,3
საქართველოს სსრ . .	8,2	7,2	6,7	7,3
ჯამი .	9,3	7,9	7,35	7,92

ბოგარული ბამბის მოსავლიანობა განისაზღვროს 3 ცენტნერის რაოდენობით 1 ჰექტარზე.

4) ნათესის ფართობისა და მოსავლიანობის შესაბამისად ნედლი ბამბის საერთო მოსავალი 1932 წლისთვის ა/კსფსრ-ში განისაზღვროს 231.748 ტონნას რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—183.328 ტონნა, სომხეთის სსრ-ში—27.920 ტონნა და საქართველოს სსრ-ში—20.500 ტონნა,

5) რადგანაც ნავარაუდევი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათანადო აგრო-ღონისძიებათა და წარმოების ძირითადი პროცესების მექანიზაციის განხორციელებას, ამიტომ მიღებულ იქნეს ჩასატარებლად რესპუბლიკებსა და სექტორებში შემდეგი აგრო-ღონისძიებანი:

	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ	სულ ა/კსფსრ
ა) ზამთრისპირული ხვნა—სულ . .	150.000	15.000	15.000	180.000
აქედან საბჭოთა მეურნეობებში .	10.000	500	3.000	13.500
ბ) ზამთრის არათი—სულ	50.000	10.000	10.000	70.000
აქედან საბჭოთა მეურნეობებში .	7.500	500	—	8.000
გ) მინერალური სასუქი—სულ . . .	40.000	23.000	7.000	70.000
აქედან საბჭოთა მეურნეობებში .	9.000	1.000	2.000	12.000
დ) ნეხვის სასუქი—საგლეხო მეურ .	6.100	—	600	6.700

6) ბამბის მწკრივად თესვა ჩატარებულ იქნეს მთლად ნათეს ფართობზე, თესვისა, დამუშავებისა და პირველ მოსავალთა მექანიზაცია—საგლეხო სექტორზე არა ნაკლებ 50 პროცენტისა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—100 პროცენტით.

7) გადასარგავი ბამბის ფართობი განისაზღვროს 2.400 ჰექტარის რაოდენობით; აქედან 900 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობებში—შემდეგი განაწილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკებზე: აზერბაიჯანის სსრ-ში—სულ 1.350 ჰექტარი, აქედან საბჭოთა მეურნეობებში—450 ჰექტ.; სომხეთის სსრ-ში—სულ 500 ჰექტ., აქედან საბჭოთა მეურნეობებში—200 ჰექტ.; საქართველოს სსრ-ში—სულ 550 ჰექტ., აქედან საბჭოთა მეურნეობებში—250 ჰექტ.

8) ეგვიპტის ბამბის ნათესი ფართობი განისაზღვროს 10.000 ჰექტარის რაოდენობით; აქედან 7.000 საბჭოთა მეურნეობებში.

მებამბეობის 1932 წლის გეგმის წარმატებით და თავის დროზე შესრულებისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი: მასსური საორგანიზაციო და პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა; კონკრეტულად დამუშავებული ოპერატული გეგმების თვითეულ რაიონამდე, სასოფლო საბჭომდე, სადაბე ამხანაგობამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე, ინდივიდუალურ მეურნემდე და—მტკიცე დავალების წესით—კულაკურ-შეძლებულ მეურნეობამდე მიწვდენა; ყოველივე ამის საფუძველზე მასსების მობილიზაცია თვისებრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის გარშემო; და ამრიგად—ყოველი ცდა მიმართულ უნდა იქნეს 1932 წელს დასახული მეაბრეშუმეობის განვითარების პროგრამის უცილობლად შესრულებისათვის, რაც უაღრესი მნიშვნელობის ამოცანაა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში.

აღნიშნავენ-რა, რომ სამზადისი მებამბეობის 1932 წლის გეგმის ჩატარებისათვის არადამაკმაყოფილებელია,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. საბამბე მასსივების განმზადება და ზამთრისპირული ხვნა.

1) რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, არა უგვიანეს იანვრის 15-სა, უნდა დაამთავრონ ხავსებით საბამბე ფართობთა მთლიან მასსივებად დაჯუმლვა და მთესველებზე საბამბე ფართობების მიმაგრება; ამავე ვადისათვის უნდა დაამთავრონ სამიწათმოწყობო სამუშაოები (საუკეთესო მიწები უნდა მიეჩინოს კოლექტიურ მეურნეობებს) და ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად უნდა წარგზავნონ ადგილებზე მიწათმომწყობი პარტიები.

2) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, არა უგვიანეს იანვრის 15-სა, უნდა დაამთავროს ფართობის მიჩენა ალაზნის საბჭოთა მეურნეობისათვის.

3) რადგანაც საჭიროა, რომ ზამთრისპირული ხვნა 180.000 ფართობზე დამთავრებულ იქნეს 1932 წ. იანვრის 20-ს, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, ტრაქტორცენტრებმა და საკოლმეურნეო ცენტრებმა უნდა შეიმუშაონ ზამთრისპირული ხვნის ჩატარების კონკრეტული სადეკადო გეგმები რაიონობითი ხაზით, ხოლო სარაიონო ორგანიზაციებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა, ამისდაშესაბამისად, უნდა შეიმუშაონ ხუთდღიანი გეგმები—დავალებათა კოლექტიურ მეურნეობებამდე, სადაბე ამხანაგობებამდე,

ინდივიდუალურ მეურნეობებამდე, სატრაქტორო და სამეურნეო ბრიგადებამდე მიწვდენით.

4) რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, ტრაქტორ-ცენტრებთან და საკოლმეურნეო ცენტრებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ ზამთ-რისპირული ხვნის ჩასატარებლად სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მთელი სატრაქტორო პარკისა და კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მთელი საწევი ძალის სავსებით გამოყენების კონკრეტული ოპერატიული გეგმა.

სარაიონო კომიტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებმა ზამთრისპირული ხვნის მთელი მუშაობა უნდა გადაიტანონ ნარდობაზე, რისთვისაც უნდა მოაწყონ განსაზღვრულ საწევ ძალაზე, ინვენტარზე და სამბამბე ნაკვეთებზე მიმაგრებულ კოლმეურნეთა სპე-ციალური ბრიგადები, და უზრუნველჰყონ ტრაქტორებისა და კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა საწევი ძალის სავსებით გამოყენება.

5) სარაიონო კომიტეტებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და სა-რაიონო საკოლმეურნეო კავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქ-ციონ კოლექტიურ მეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეთა მუშა-საქონლის აღნუსხვას და დაცვას და მტკიცედ უნდა აღკვეთონ საზოგადოებრივ და საად-მინისტრაციო-სასამართლო ღონისძიებათა მეშვეობით მუშა-საქონლის დაუზოგვე-ლი განბნევა (დაკვლა, გაყიდვა და მისთ.).

სარაიონო კომიტეტებმა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებმა უნდა იხმარონ ყველა საჭირო ღონისძიება, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, საკვებთა ხელუხლებელი ფონდების შესაქმნელად, რაც ესაჭიროებათ კოლექტიურ მეურნე-ობათ და ინდივიდიალურ მეურნეთ როგორც ზამთრისპირული ხვნისა, ისე მთელი საგაზაფხულო თესვის პერიოდში.

6) მოეწყოს სოფლებში, კოლექტიურ მეურნეობებში და საბჭოთა მეურნე-ობებში სპეციალური საკონტროლო ბრიგადები სასოფლო და საკოლმეურნეო აქტივისაგან ზამთრისპირული ხვნის თვისებისათვის მეთვალუურეობის გასაწევად, რათა ხვნას არავითარი დეფექტი არ დაჰყვეს (ხარვეზი და მისთ.) და საგეგმო დავალება ვადაზე იქნეს შესრულებული.

7) რესპუბლიკების ტრაქტორცენტრები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ და დამთავრონ 1932 წ. იანვრის 20-თვის მთესველთა რეგისტრაცია; ამავე დროს პარტიულმა სარაიონო კომტეტებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ მასსური სამომზადებლო მუშაობა 1932 წლის საკონტრაქტაციო ხელ-შეკრულებების დადებისათვის.

8) წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს, ა/კ. ტრა-ქტორცენტრთან და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრთან ერთად, შეიმუშაოს კონტ-რაქტაციის ნორმები, ვადები და წესი და აგრეთვე მთელი სახელშეკრულობო კამპანიის ჩატარების გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 12-თვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. წყალსამეურნეო ღონისძიებანი და ზამთრის არათი.

1) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და წყალთა მეურნეობებმა დაუყოვნებლივ უნდა იხმარონ ღონისძიება შინაგანი რესსურსების სავსებით გამოყენებისათვის, რისთვისაც უნდა მოაწყონ დამოუკიდებელი და კოოპერატიული ორგანიზაციების (არტელების) მეშვეობით ადგილობრივი საშენი მასალის დამზადება და გამოყენება.

2) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა უნდა უზრუნველჰყოს წყალსამეურნეო სამუშაოებისათვის, არა უგვიანეს იანვრის 25-სა, 217 ვაგონი ხეტყის წარგზავნა რესპუბლიკების წყალთა მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებად.

3) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა სამეურნეო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 600 ტონნა ცემენტი მთლად უნდა წარგზავნოს არა უგვიანეს იანვრის 20-სა, ხოლო 1-ლი კვარტალის ფონდი 4.500 ტონნას რაოდენობით—არა უგვიანეს მარტის 1-სა.

4) დაევალოს „სტალსბიტ-„ის ა/კ. განყოფილებას—უზრუნველჰყოს, ა/კ. მებამბეობის შენაერთის განცხადებების თანახმად, საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სათანადო ასსორტიმენტის შავს ლითონზე გაცემული განწესების აღსრულება.

5) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმღლესმა საბჭომ და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მოახდინონ ყველა ქონებული შინაგანი რესსურსის მობილიზაცია, რათა საშენი მასალით დაუყოვნებლივ უზურვენელყოფილ იქნეს უაღრესი მნიშვნელობის მქონე წყალსამეურნეო უბნები, ხოლო ა/კ. მებამბეობის შენაერთმა ორი დღის ვადაზე უნდა წარადგინოს სათანადო განცხადებები--ვადებისა და მშენებლობის უბნების ზედმიწევნითი აღნიშვნით.

6) აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მისცენ კატეგორიული დირექტივები იმ საწარმოთ და ორგანიზაციებს, რომელნიც ასრულებენ მექანიკურ გაწყობილობისა, ძრავებისა და ტუმბოების დამზადების შენაკვეთებს—ამ შენაკვეთთა აღსრულების ვადების ზედმიწევნითი აღნიშვნით.

საწარმოთა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ თავიანთი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ წყალსამეურნეო სამუშაოებისათის საჭირო შენაკვეთთა აღსრულება.

7) რესპუბლიკების წყალთა მეურნეობებმა ყველა წყალსამეურნეო სამუშაო სავსებით უნდა გადაიტანონ ნარდობაზე და ფართოდ გაშალონ შრომის სოციალისტური ფორმები (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა), რისთვისაც უნდა გამოჰყონ დაპრემირებისათვის საჭირო ფონდები.

8) ა/კ. ტრაქტორცენტრმა და რესპუბლიკანურმა ტრაქტორცენტრებმა თებერვლის 1-თვის სავსებით უნდა დაამთავრონ მთელი სარწყავი ხყლის წვრილი და უწვრილესი ქსელის მიღება.

სარწყავი წყლის ქსელის გადაცემასთან ერთად სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს უნდა გადაეცეს სპეციალისტების სათანადო რიცხვი.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და პარტიულმა სარაიონო კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონო წყალთა მეურნეობების მიერ ზამთრის არათის ჩატარების კონკრეტული ოპერატიული გეგმების დუყოვნებლივ შედგენა და აგრეთვე საგაზაფხულო რწყვისთვის წყალგანმანაწილებელი ქსელის განმზადების ოპერატიული გეგმების შედგენა; ეს გეგმები მიწვდენილ უნდა იქნეს სასოფლო საბჭომდე, კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე; მოწყობილ უნდა იქნეს სამუდამდღეო კონტროლი ამ გეგმების აღსრულებისათვის.

ზამთრის არათის დამთავრების ვადად დაინიშნოს იანვრის 20.

9) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში წყალსამეურნეო სამუშაოების მუშა-ძალით უზრუნველყოფისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებსა და კოლმეურნეთა შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე; აგრეთვე უნდა გამოსცენ განსაკუთრებული დადგენილება—მდინარეების შემობექურებისათვის შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარის ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა, საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებთან ერთად, უნდა გამოჰყონ ერთი დეკადის ვადაზე წყალსამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო მუა-ძალის მოგროვების რაიონები და უნდა დააბრუნონ წყალსამეურნეო სამუშაოებზე ის სპეციალისტები და წყალსამეურნეო დარგის მომუშავენი, როემელნიც ამ ჟამად სხვა დარგში მუშაობენ.

10) მუშა-ძალის მოგროვებისათვის საჭირო მუშაობა მთლად ჩატარებულ უნდა იქნეს კოლექტიური მეურნეობების მასსური მუშაობის საფუძველზე და ყოველგვარი გადახრები და ადმინისტრირება კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მიმართ უნდა აღიკვეთოს.

პროკურატურამ ამა დადგენილების დარღვევაში დამნაშავე პირნი უნდა აძლიოს სასტიკ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

11) რადგანაც წყალსამეურნეო სამუშაოებზე მოსაქმე მუშებისა და სპეციალისტების სრულ და დაუცადებელ მომარაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებმა უნდა ცალკეულად გამოჰყონ, აღნიშნულ სამუშაოებზე მოსაქმე მუშებისა და სპეციალისტების რეალური რაოდენობის შესაბამისად, სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდები—ისე, რომ ეს ფონდები არ იხარჯებოდეს სხვა რამ მიზნებზე რესპულიკებსა და რაიონებში.

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა უზრუნველჰყოს სისტემატიური კონტროლი და მეთვალყურეობა ამა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის და პასუხისგებაში აძლიოს მის დარღვევაში დამნაშავე პირნი სისხლის სამართლის წესით.

12) რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი წყალსარგებლობის ეკონომიისა და რაციონალიზაციისათვის, და აგრეთვე უზრუნველჰყონ კვლური და მთელი დღედაღამის განმავლობაში რწყვის ფართოდ შთანერგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, პარტიულმა სარაიონო კომიტეტებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უნდა უზრუნველჰყონ ყველა აღნიშნული ღონისძიების ფართოდ დამუშავება წყალმოსარგებლებთან ერთად.

III. საბჭოთა მეურნეობებში.

1) სურთიერთო სოციალისტური თავდებობის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხორციელდება რესპუბლიკებში საბჭოთა საბამბე მეურნეობების გეგმები, ა/კ. მებამბეობის შენაერთმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა მაქსიმალურად უნდა გააძლიერონ ბამბის მოსავლის აღების ტემპები — ისეთი ვარაუდით, რომ ბამბის აღება დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს იანვრის 15-სა და ბამბის აღებას უნდა შეუთავსონ ფართობთა განმზადება 1932 წლის გეგმის შესრულებისათვის.

2) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა დაიმუშაონ მუშა-ძალის ბალანსები საბამბე კამპანიის ყველა ეტაპისათვის (მოხვნა, არათი, დამუშავება, მოსავლის აღება) და აგრეთვე დაიმუშაონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებისათვის მუდმივი კადრების შესაქმნელად; თანაც დაუყოვნებლივ, რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებთან ერთად, ფართოდ გაშალონ მასსური მუშაობა მუშა-ძალის მოსაგროვებლად და კოლექტიურ მეურნეობებთან და კოლმეურნეებთან ხელშეკრულებების დასადებად; ხელშეკრულებებში ზედმიწევნით განსაზღრულ უნდა იქნეს სამუშაოზე მისვლისა და საბჭოთა მეურნეობებში ყოფნის ვადები, სამუშაო ხელფასი და მუშაობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები.

3) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა უნდა უზრუნველჰყოს მაისის 15-მდე 1932 წლის გეგმით გათვალისწინებული ბინების მშენებლობის არა ნაკლებ, ვიდრე 50%-ის დამთავრება.

4) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა უნდა დააჩქაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის არხის სამუშაოების წარმოება. პერსონალური პასუხისმგებლობა, რომ პირველი სავეგეტაციო რწყვისთვის ყველა სამუშაო დამთავრებულ იქნება, დაეკისროს ამხ. ტოლსტოპიატოვს.

5) რადგანაც ეგვიპტური ბამბის მოყვანას განსაკუთრებული სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს უცხოეთის დამოკიდებულებისაგან სსრკ-ის განთავისუფლების საქმეში, დაევალოს ა/კ. მებამბეობის შენაერთს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—უზრუნველჰყონ ყველა ის პირობა, რაც საჭიროა ეგვიპტურ ბამბაზე მუშაობისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში 1932 წელს.

6) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა უნდა უზრუნველჰყოს თებერვლის 1-თვის გადასარგავი ბამბის კულტურისათვის საჭირო რაოდენობის მასალისა და გაწყობილობის საბჭოთა მეურნეობებში შეზიდვა.

IV. მზადება თესვისათვის.

1) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ხუთმეტი დღის ვადაზე საგაზაფხულო თესვის კამპანიის დაწვრილებითი გეგმა (თესვის წინა-ხვნა, რწყვა, თესვა), შეუთანხმოს იგი რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს და მოახდინოს ღონისძიებათა დიფერენციაცია რაიონების თავისებურებათა და 1931 წლის გამოცდილების შესაბამისად; თანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დამუშავების თვისების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათ.

დადგენილების პროექტი წარედგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს არა უგვიანეს თებერვლის 1-სა.

2) ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 1-სა.

3) რადგანაც საბამბე კამპანიის მომზადებასა და ჩატარებას საკოლმეურნეო სისტემაში განსაკუთრებული სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც უაღრეს ეტაპს კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა, ა/კსფსრ მთავარ საბამბე რაიონებში ძირითადად კოლექტივიზაციის დამთავრებისა და ამ ბაზისზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ავალებენ პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს—მიაქციონ მაქსიმალური ყურადღება და გაუწიონ კონკრეტული დახმარება კოლექტიურ მეურნეობებს წლიური საწარმო-საფინანსო გეგმებისა და კონკრეტული ოპერატიული გეგმების შედგენაში საბამბე კამპანიის თვითეული ეტაპისათვის ცალკე (ზამთრისპიურული მოხვნა, არათი, თესვა, დამუშავება და მოსავლის აღება); თანაც მთავარი ყურადღება მიაპყრან ამხ. სტალინის ექვსი დირექტივის აღსრულებას.

ამასთანვე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აფთხილებენ ყველა ორგანიზაციას ინდივიდუალურ მეურნეთა (ღარიბ და საშუალოთა) შეუფასებლობის თაობაზე, რადგანაც ისინი ხვალ კოლმეურნენი უნდა გახდნენ, და წინადადებას აძლევენ—გაძლიერონ მასსური პოლიტიკური მუშაობა სოფლად და გაშალონ ულმობელი ბრძოლა კულაკობასთან, მის მანევრებთან სოფელში, მის შეპარვასთან კოლექტიურ მეურნეობებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი **მ. ორახელაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს მე-10 №-ში 1932 წ. იანვრის 11-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

24. ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის-აღნუსხვის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამიერკავკასიის საალნუსხვო კომიისის მოწყობის შესახებ.

„ოთხფეხი საქონლის ერთდროული აღნუსხვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 7-ის დადგენილების თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის აღნუსხვისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად მოეწყოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან კომისია ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის შტაბის თითო წარმომადგენლისა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ორი წარმომადგენლის შედგენილობით.

2. ამიერკავკასიის საალნუსხო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ს. ვარდანიანი.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შამავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მოაწყონ სათანადო საალნუსხვო კომისიები რესპუბლიკებში და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სასოფლო საბჭოებთან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23
№ 444.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 24 №-ში 1932 წ. იანვრის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

25. საბინაო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საბინაო კოოპერაციის მუშაობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კოოპერატიულ-საბინაო მშენებლობის დაგეგმვის სისტემა დამყარებულ იქნეს იმ ამოცანის შესაბამისად, რომ საჭიროა მაქსიმალურად გადიდდეს საბინაო კოოპერაციის ხვედრითი წონა საბინაო მშენებლობის განსაზოგადოებულ

სექტორში და სახსარი წარიმართოს ხოლმე საბინაო კოოპერაციის ხაზით ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კოოპერაცია ორგანიზაციულად და ტეხნიკურად გარანტიას იძლევა ამ სახსარის გამოყენებისას.

2. საბინაო კოოპერაციის ხვედრითი წონის ზრდის უზურუნველსაყოფად დამყარებულ იქნეს კოოპერატიულ-საბინო მშენებლობის დაფინანსების ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც სამეურნეო ორგანოების საბინაო მშენებლობისთვის ასსიგნებული სახსარის ის ნაწილი, რაც საბინაო კოოპერაციას უნდა გადაეცეს, განისაზღვროს ხოლმე სამეურნეო ორგანოების საკონტროლო ციფრებისა და მთელი საფინანსო გეგმის დამტკიცებასთან ერთად.

შენიშვნა. ის სახსარი, რასაც სამეურნეო ორგანოები გამოჰყოფენ საბინაო კოოპერაციისათვის, უნდა გადაიცეს ადგილობრივი კომუნალური ბანკების მეშვეობით პირდაპირი დაკრედიტებით.

3. დაწყებული 1932 წლიდან უნდა სწარმოებდეს საბინაო კავშირის სამშენებლო კონტორების საბრუნავ სახსართა შევსება რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში საბინაო მშენებლობისათვის გადადებული ასსიგნების ანარიცხებით და აგრეთვე იმ რესპუბლიკანური სამეურნეო ორგანიზაციების სახსარით, რომელნიც მშენებლობას საბინაო კავშირის კონტორების მეშვეობით ანხორციელებენ—უკანასკნელ შემთხვევაში იმ თანხების ანარიცხებით, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული კონტორების მიერ სამუშაოს მიმცემ ორგანოებთან დადებულ ხელშეკრულებებში; ანარიცხები გადაიდება ისეთი რაოდენობით, რსაც განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

4. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე ინსტრუქცია კომუნალური ბანკების მიერ საბინაო კავშირების სამშენებლო კონტორების საბრუნავ სახსარში ანარიცხების გადადების წესის შესახებ.

5. 1932 წლიდან გადაეცეს ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირს საშენი მალით ა/კსფსრ საბინაო კოოპერაციის სისტემის მომარაგების საქმე მშენებლობისა და რემონტისათვის; თანაც მიეცეს მას უფლება დასდვას უშუალოდ გენერალური ხელშეკრულებები მრეწველობასთან.

6. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გამოჰყოს ხოლმე უშუალოდ ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირის განკარგულებაში ცენტრალიზებული წესით ფონდირებული საშენი მასალა მშენებლობისა და რემონტის დამტკიცებული საკონტროლო ციფრების შესაბამისად.

7. საბინაო კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობის საერთო განმტკიცებისა და გაუმჯობესების მიზნით მიენდოს ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირს—უზრუნველჰყოს რესპუბლიკანურ საბინაო კოოპერაციის კავშირებთან სამშენებლო კონტორების და სხვა დამხმარე საწარმოთა მოწყობა, რომელნიც იარსებებენ საბინაო კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დამოუკიდებელი ორგანიზაციების სახით.

8. იმ მიზნით, რათა გაძლიერებულ იქნეს სტიმული საბინაო კოოპერაციაში წევრად შესვლისა, დაწესებული ქნეს, რომ:

ა) განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის 75%-ი გადადის სათანადო საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის განკარგულებაში წევრ-მეპაიეთა საბინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხოლო 25%-ს აღმასრულებელი კომიტეტები ან სარაიონო საბჭოები გაანაწილებენ ისეთ მშრომელთა შორისაც, რომელნიც შეიძლება არ იყვნენ წევრ-მეპაიენი;

ბ) უფლება საცხოვრებელი ფართობის გადიდებისა დადგენილი ნორმების ფარგლებში პირველ ყოვლისა ეკუთვნით წევრ-მეპაიეთ;

გ) მეპაიეთ აქვთ უფლება, რომ პირველ რიგში მათ ბინებს გაუკეთდეს რემონტი და საბინაო-საიჯარო ამხანაგობის სახლში მყოფმა კულტურულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებებმა გაუწიონ მათვე განსაკუთრებული მომსახურეობა.

9. საბინაო კოოპერაციის სახლებში მცხოვრებ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაძლიერებლად დაწესებულ იქნეს ახალი კოოპერატიული მშენებლობისათვის დანიშნული ასიგნებიდან ანარიცხების გადადება 10%-ის რაოდენობით კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის.

შენიშვნა. მიენდოს ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირს, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ინსტრუქცია ამ ანარიცხების ხარჯვის წესის შესახებ.

10. დაწესებულ იქნეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საბინაო ქირის საერთო შემოსავლიდან ანარიცხების გადადება 10%-ის რაოდენობით საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის.

შენიშვნა. სახლთმეურნეობის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები ცენტრალიზებულ უნდა იქნეს ქალაქის ფარგლებში და ითვლებოდეს სათანადო საბინაო კავშირების განკარგულებაში.

11. დაწესებულ იქნეს, რომ საბინაო კოოპერატივებმა (მე-9 და 10 მუხ.) წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის დანიშნული სახსარი უნდა მიაქციონ მარტოოდენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობას და გაწყობას და კადრების მომზადებას.

საბინაო კოოპერატივებში მოწყობილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი უნდა ინახებოდენ ძირითადად თვითო მოსახლეობის ხარჯით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალური კავშირების სახსართა სათანადო ნაწილითურთ.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23.
№ 446.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

26. „1931 წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვებისათვის სარკინისგზო და ავტო-ჭაპანზიდვის ტრანსპორტის განმზადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 1-ის დადგენილების 1-ლი მუხლის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რადგანაც ჯარიმები თავის დროზე დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და ვაგონების მიყენებისათვის თვალსაჩინოდ არის გადიდებული სატარიფო წესით, რაც საკმარისად უზრუნველჰყოფს როგორც გზისა, ისე კლიენტურის ინტერესებს,—გაუქმებულ იქნეს 1-ლი მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 1-ის დადგენილებისა „1931 წ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გადაზიდვებისათვის სარკინისგზო და ავტო-ჭაპანზიდვის ტრანსპორტის განმზადების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 204).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 27.
№ 445.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 24 №-ში 1932 წ. იანვრის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

27. მუნიციპალური საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადატანისა და სახლ-ტრესტების და საბინაო-საიჯარო ამხანაგობების დაწვრილების შესახებ.

რადგანაც მუნიციპალური საბინაო ფონდი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ხოლო საბინაო მეურნეობის წარმოება გაუარესდა საბინაო-საიჯარო ამხანაგობებისა და სახლების ტრესტების გადიდების გამო და საჭიროა სამეურნეო ანგარიშის შთანერგვა საბინაო მეურნეობის სფეროში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადატანილ იქნეს 1932 წ. თებერვლის 15-თვის მთლად მუნიციპალური საბინაო ფონდი სამეურნეო ანგარიშზე. ძოისპოს მუნიციპალური საბინაო ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის უშუალო ექსპლოატაცია აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური განყოფილებების მიერ და მათ ექსპლოატაციაში ქონებული საბინაო ფონდი გადაეცეს საბინაო-საიჯარო ამხანაგობებსა და სახლის ტრესტებს.

2. დაწვრილებულ იქნეს არსებული საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობები და ყოველ სახლში, როგორც საერთო წესი, მოეწყოს დამოუკიდებელი საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა; ამასთანავე, შეიძლება მომიჯნავე პატარა სახლების ერთ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობად გაერთიანება. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ ასეთი შენაერთისათვის საცხოვრებელი ფართობის ზღვრული მაქსიმუმი.

საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაწვრილება დამთავრებულ იქნეს 1932 წ. თებერვლის 15-თვის და ამავე ვადისათვის დასრულებულ იქნეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა და საქალაქო კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა შორის ხელშეკრულებების დადების კამპანია საცხოვრებელ სახლთმეურნეობების იჯარით აღების შესახებ, წინასწარ ამ მეურნეობების ტეხნიკური დათვალიერებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ საცხოვრებელ სახლთა ტრესტებისათვის ოდენობის ზღვრული ნორმა და დააწვრილონ არსებულ სახლ-ტრესტები, რაც დამთავრებულ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილება, რომლითაც:

ა) დაავალონ საქალაქო საბჭოებსა და რესპუბლიკანურ საბინაო კოოპერაციის კავშირებს—უზრუნველჰყონ საბინაო მეურნეობის შიგნით ღონისძიებათა განხორციელება შინაგანი რესსურსების მობილიზაციისათვის და საბინაო ქირისა და კომუნალური მომსახურეობის სფეროში დავალიანების ლიკვიდაციისათვის;

ბ) ქალაქად მოსახლეობის სახსართა მობილიზაციისათვის საუკეთესო მუშაობის წასახალისებლად დაამყარონ იმ სახლთმეურნეობების დაპრემირების სისტემა, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ მოსახლეობის სახსარის მობილიზაციის გეგმას, აგრეთვე ამ მეურნეობების ცალკეულ მომუშავეთა დაპრემირების სისტემა;

გ) საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლებში მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის წარმატებით განვითარების მიზნით დააწესონ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საბინაო ქირის საერთო შემოსავლიდან ანარიცხების გადადება 10%-ის რაოდენობით კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და გაწყობილობისათვის.

შენიშვნა. სახლთმეურნეობის ბიუჯეტიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გადარიცხული თანხები ცენტრალიზებულ უნდა იქნეს ქალაქების ფარგლებში და ითვლებოდეს სათანადო საბინაო კავშირების განკარგულებაში.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კ. საბინაო კოოპერაციის კავშირთან და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს ორი დეკადის ვადაზე და წარმართოს ადგილების სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია მუნიციპალური საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადატანის შესახებ, და აგრეთვე სანიმუშო ნორმალიზებული ბიუჯეტი, რაც აგებულ უნდა იქნეს საცხოვრებელი ფართობის ერთეულის ექსპლოატაციის თვითღირებულების საფუძვლებზე.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუთანხმონ ამა დადგენილება თავიანთი კანონმდებლობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 28.
№ 447.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 25 №-ში 1932 წ. იანვრის 30-ს.

მთავლ. № 606. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400

ეროვნული ბიბლიოთეკა
Ξ-162